

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„ღათო და მთვარისა აღგილზე დაილუნან, მათი ღაღა უმიქვას ეღმომარეობაშია“



ავარიას და-ძმა შეენირა

**16 ოქტომბრიდან**  
გიორგი კოკოშაშვილი  
**ქართული საბრძოლო ხელოვნება**

ჩვენი ღირსებანი

ფასი  
ბაზეთთან ერთად  
18 ლარი

სუთშაბათი, 31 ოქტომბერი, 2019 №258 (8212) ფასი: 60 თეთრი

## „გაკო გოგურის დაზარალებულად ცნობა ივანიშვილის პერსიას დაანბრებს“



გვ.3

შალვა შავგულიძე:  
„20 ივნისის საქმეზე პოლიტიზირებული გადაწყვეტილება მიიღეს“

თუ დაზარალებულები აქეთ არიან აქციის მონაწილეები, მაშინ ეს ვერსია, რომ ისინი ამავდროულად დამნაშავეები არიან, აღარ გამოდის.



**ზაზა ხატიაშვილი:**  
„ჩვენ გვანდობს, რომ თაღუმაქა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნონ“  
„ასე უფრო მარტივად მოვიშორებთ მას და ივანიშვილის სხვა მონებს“



გვ.3



**„მდინარაქან მეტი მაღა აქვს, ჩუგოშვილს — ნაკლები“**  
ბექა ნაცვლიშვილი:  
„2020-ის არჩევნებს შეიძლება რიგგარეშე არჩევნები მოჰყვეს“

გვ.4



გვ.4

**„პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ქრისტიანობის წესებს სცილდება“**  
ბიძინა გუჯაბიძე: „მეუფე იაკობის გამოსვლამ თვითონ გამომსვლელი დააზიანა“



**ვახტანგ გომელაურმა უსს-ს კრიმინალური პოლიციის სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს ბაზა დაათვალიერა**

გვ.4



**2** ამბროლაურის მარაგა ტოტალიტარული პორუა მოიგო

**5** მარჯანიშვილზე დასვის პოლიციის ეკიპაჟი პატარა ბიჭს დაეჯახა

**2** მეუფე იაკობა აღვოკაბ რაიონისთვის 1 ლარის გადასახად უარი თქვა

**6** ალ-ბაღდადი მასთან ჩანერგილმა ინფორმაციამ გასცა ის 25 მილიონ დოლარს მიიღებს



# აპროლაურის მერმა ტოტალიზატორში პირველი მოიგო

## ლევან გოგიჩაიშვილი: „ეს არის სამარცხვინო“



აპროლაურის მერმა ერთ-ერთი ტოტალიზატორის გათამაშებაში პირველი მოიგო. ლევან გოგიჩაიშვილი ამბობს, ის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული არ არის და არც არავის მოუწოდებს მსგავს თამაშებში მონაწილეობას.

– არც მაგის დრო მექვს და არც სურვილი. დამოკიდებული არ ვყოფილვარ. ჩემი სახელით დისციპლინა შექმნის გვერდით, ერთ საღამოს, როცა ვისვენებდი, ორი სულარიანი ბილეთი დავეწერე, ამას არ ვმალავ, – განმარტავს აპროლაურის მერი.

აპროლაურის მერის აზარტულ თამაშებში ჩართულობას კრიტიკა მოჰყვა მესამე სექტორის მხრიდან.

არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ საჯარო მოხელე აზარტულ თამაშებში არ უნდა იყოს ჩართული.

სამოქალაქო მოძრაობა „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ ხელისუფლებას კანონის გამკაცრებისკენ მოუწოდებს. ორგანიზაციაში საგანგაშო მარჯვენა და სტატისტიკაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ თუ საკითხზე დროული რეაგირება არ მოხდება, უკიდურეს ზომებს მიმართავენ და აქციებს დაიწყებენ.

– ივლისიდან დღემდე სუიციდის 15 ფაქტი მოხდა. სასწრაფოდ დაინიშნა ხელისუფლებამ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით 9 თვის მანძილზე დამუშავებული და თაროზე შემოდებული კანონპროექტის საკომიტეტო და შემდეგ უკვე საპარლამენტო განხილვა, – აცხადებს ორგანიზაციის „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ პრეზიდენტი თამარ ჯაფარიძე.

დაახლოებით 700.000 ადამიანი ყოველდღიურად თამაშობს ონლაინ რეჟიმში აზარტულ თამაშებს.

– მათი უმრავლესობა არის დამოკიდებული და სერიოზული ქცევითი პრობლემა აქვს ჯანმრთელობის კუთხით. სწრაფად და ეფექტურად თუ გვინდა ამ პრობლემას მივხედოთ, უნდა მოხდეს თამაშების რეკლამის და სპონსორობის აკრძალვა, – განაცხადა



საზოგადოებრივი მოძრაობის „დაიცავი შენი შვილი“ წევრმა გიორგი ბახტურიძემ.

აზარტული თამაშების ინდუსტრიას პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატებიც უპირისპირდებიან.

– მინდა გამოვიყენო შესაძლებლობა და აპროლაურის მერს მივულოლო პირველ მოგებას აზარტულ თამაშებში. ეს არის სამარცხვინო, მივიტანო იერიში სიკვდილის ინდუსტრიას, – განაცხადა პარლამენტის სხდომაზე დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

ტრიაზე, – განაცხადა პარლამენტის სხდომაზე დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

მკაცრი რეგულაციების მომხრეა მმართველი გუნდიც.

– მე მხარს ვუჭერ საკმაოდ მკაცრ რეგულაციებს, რომლებიც უნდა შემოვიდეს აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით და უპირველესად, ეს რეგულაციები უნდა ეხებოდეს ახალგაზრდა თაობის დაცვას, – აღნიშნა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ.

კამპანია აზარტული თამაშების წინააღმდეგ 1 ნოემბერს 19:00 საათზე მთავრობის ადმინისტრაციასთან აქციას გამართავს.

ლონისძიების შესახებ ინფორმაცია გუშინ, 30 ოქტომბერს, ანა დოლიძემ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გაავრცელა.

„ქვეყანაში აზარტული თამაშების ეპიდემიაა. ამ სენის გამო უამრავი ადამიანი იკლავს თავს! ხელისუფლება კი დუმს.“

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა არა თუ არ იცავს მოსახლეობას, არამედ ხელს უწყობს



მათ ჩართვას აზარტულ თამაშებში.

გვერთიანდეთ და ავიმალლოთ ხმა! კამპანია „აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ პირველ საჯარო შეკრებას იწყებს, სადაც გაუფრთხილება კონკრეტული მოთხოვნები.

ერთად გამოვავლინოთ ხელისუფლებას, რომ გაიგოს სახლის სმა. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!“ – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც უამრავი ადამიანი შეუერთდა.

# მეუფე იაკობა ადვოკატ რამიშვილისთვის 1 ლარის გადახდაზე უარი თქვა

## მან სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა

მეუფე იაკობა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მას ადვოკატ მიხეილ რამიშვილისთვის მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 1 ლარი უნდა გადაეხადა და ამასთან, საჯაროდ განეცხადებინა, რომ მის მიერ მიხეილ რამიშვილის მისამართით გაუფრთხილები ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

აღნიშნულის შესახებ ინტერპრესნიუსს მიხეილ რამიშვილმა განუცხადა. როგორც ის განმარტავს, მეუფე იაკობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, მიხეილ ჩინჩალაძეს და მოსამართლეებს დაემუქრა, რომ მის წინააღმდეგ გადაწყვეტილება არ გამოიტანონ.

– მეუფე იაკობა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს თავის თავმჯდომარეებთან დაემუქრა. ვნახოთ, კანონის უზენაესობა გაჭრის თუ მუქარა.

მეუფე იაკობა მურუსიძე-ჩინჩალაძეს დაემუქრა, ჩემ წინააღმდეგ არ გაბედო, არ გამოიტანონ.



ტანონ გადაწყვეტილება, თორემ გავაქრობო, – განაცხადა ადვოკატმა რამიშვილმა.

მისი თქმით, პირველი ინსტანციის მოსამართლე ირაკლი კობალიანმა მისი სარჩელი დააკმაყოფილა, რაც მეუფემ აპელაციაში გაასაჩივრა.

– 27 ნოემბერს, ამ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გაიმართება. ამან წინასწარ

წარ თითი დაუქნია ჩინჩალაძეს, რომელიც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეა.

თუ სასამართლომ სხვა გადაწყვეტილება მიიღო, ნიშნავს, რომ მეუფე იაკობა თავისი ძალა კიდევ გამოაჩინა და დააშინა. მოსამართლეები იმით არსებობენ, ობიექტურად და სამართლიანად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, დანარჩენი გამოჩნდება. გამოჩნდება, ისინი კანონს ემსახურებიან თუ გარკვეული პირების მოთხოვნებს ასრულებენ, – აღნიშნა მიხეილ რამიშვილმა.

მისი აზრით, მეუფეს არ სურს უარყოფის, რაშიც ადვოკატს ცილი დასწამა, რადგან მერე პასუხი უნდა აგოს საეკლესიო კანონითაც.

– როცა სასულიერო პირი ცილს დასწამებს სხვას, ვალდებულები არიან წმინდა სინოდმა ეს განიხილოს, ვინაიდან რჯულის სხვას ცილი დასწამა, თავის ნათქვამს თუ ვერ დაამტკიცებს, იმის სახელის მატარებელი თვითონ ხდება.

საპატრიარქოს პრესმდივანმა და ერთ-ერთმა მეუფემ წერილი მომწერეს, აღნიშნულ საქმეს მაშინ განვიხილავთ, როცა სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს.

აბსურდული რაღაცაა! რა შუაშია საერო სასამართლო, როცა საეკლესიო სასამართლო არის. თავის არიდება უნდოდათ, რომ ეს არ გაეკეთებინათ. დაველოდები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მერე ამ გადაწყვეტილებებს ხელს მოკვიდებ და მივართმევ წმინდა სინოდის წევრებს, რომელთაც ვეჭვობ, თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება-მეთქი. როგორ შეათავსებენ საერო და საეკლესიო გადაწყვეტილებებს, ვნახავ, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

2018 წლის 11 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიხეილ რამიშვილის სარჩელი დააკმაყოფილა და მეუფე იაკობს დაეკისრა საჯაროდ განცხადება, რომ მის მიერ გაუფრთხილები ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, მას ასევე დაეკისრა სიმბოლურად 1 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.

საქმე ეხება 2017 წლის 21 სექტემბერს, მოსარჩელის მისამართით მედიაში საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას, რომლითაც მოპასუხემ მოსარჩელე მოისენია, როგორც მებუნდარა ადამიანი და სანდრო გირგვლიანის საქმეზე ჩანერგილი აგენტ-პროვოკატორი, რომელიც ინფორმაციას აწვდიდა ყოფილ მაღალჩინოსნებს.

# „ანაკლისი პორტის შენახვა 6 თვის შევლაზე ღირსეულად“

## ლევან ახვლედიანი: „მთავარია ჩვენი 3 მოთხოვნის დაკმაყოფილება“

„ანაკლისი განვითარების კონსორციუმის“ გენერალური დირექტორი ლევან ახვლედიანი აცხადებს, რომ თუ 3 ძირითად საკითხზე მთავრობასთან შეთანხმება მოხდება, ანაკლისის პორტის მშენებლობა 6 თვის თავზე დაიწყება.

პარლამენტში შეხვედრაზე, რომელიც ანაკლისის პორტის პროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობდა, დამოუკიდებელი დეპუტატის, ლევან გოგიჩაიშვილის კითხვის საპასუხოდ, ლევან ახვლედიანმა განაცხადა, რომ თუ შეთანხმება ვერ მოხდა და ანაკლისის პროექტთან დაკავშირებით საერთაშორისო არბიტრაჟში იურიდიული დავა დაიწყო, არბიტრაჟი დაახლოებით 1,5-2 წელი გაგრძელდება.

– თუ მოხდა ისე, რომ მთავრობამ ხელშეკრულება გაგვიწყვიტა, იძულებული ვიქნებით, რომ წავიდეთ საერთაშორისო არბიტრაჟში, ამის გასაკეთებლად საკმაოდ მკაფიო საფუძველი გვაქვს.



ეს პროცესი გაგრძელდება დაახლოებით 1,5-2 წლის განმავლობაში.

მეორე მხრივ, თუ იმ სამ საკითხზე, რომელზეც ვისაუბრე, შევთანხმდებით და მთავრობა წამოგვყვება, ჩემი გადმოსახედიდან, დღეს, სადაც დგას პროექტი, საჭირო იქნება კიდევ 6 თვე, რომ ყველა მოლაპარაკება დაიხუროს და ამ 6 თვის თავზე ბარი იყოს დარტყმული და მშენებლობა დაწყებული.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ ეს სამი საკითხი გადაიჭრება, პროექტს ბოლომდე მივიყვანოთ, – განაცხადა ახვლედიანმა.

ეს საკითხები ეხება ინვესტორების მხარდაჭერას, ინვესტორი ბანკების მხრიდან ტერორიზმის გარანტიის მოთხოვნას და პორტის ოპერატორის, ამერიკული SSA MARINE-ის მოთხოვნას, რომ მთავრობა სხვა ღრმანწყლვანი პორტის პროექტში არ ჩაერთოს.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია. მომდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მექვეშე ნაწილით დაიწყო.

# სისანა შარტავა: „პატრიარქი ჯანმრთელად არის“



პატრიარქი ჯანმრთელად არის, შესაბამისად, შეძლებს, რომ ჩვეულებრივად უხელმძღვანელოს წმინდა სინოდის სხდომაში.

ამის შესახებ პატრიარქის პირადმა ექიმმა, ცისანა შარტავამ ინტერპრესნიუსს განუცხადა.

– არასწორი ინფორმაცია გავრცელდა პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. რაღაც უსამართლო მოთხრობებს, გამოერეხავ არ მინდა.

პატრიარქი მშვენივრად არის. მისთვის ჩვეულებრივ მდგომარეობაშია, ისე, როგორც იყო, სანამ გაციების ვირუსი ეწებოდა. ახლა კარგადაა, ჩვეულებრივ შრომით რეჟიმშია.

დღეს დილით ვიყავი და ვნახე მისი უწმინდესობა. ასე რომ, ყველაფერი ნორმალურად და კარგად არის, – განაცხადა ცისანა შარტავამ.

# საქართველოში ისრაელის საელჩო დაიხურა

გუშინ, 30 ოქტომბერს, მსოფლიოს მასშტაბით ისრაელის საელჩოები და საკონსულოები დაიხურა. აღნიშნული ფაქტი ისრაელის ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავას უკავშირდება.

ისრაელის ხაზინა დესპანებს სთხოვს, უკან დააბრუნონ ის ათასობით დოლარი, რომელიც მათ ხარჯების ანაზღაურებისთვის დაერიცხათ.

– იმის გამო, რომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომელიც ცვლის იმ პროტოკოლს, რომელიც ათწლეულების მანძილზე არსებობდა, იძულებული ვართ, დავხუროთ საელჩო, – იტყობინებინან სხვადასხვა ქვეყნის მისიების ვებ-გვერდები.

ისრაელის საელჩო საქართველოში არ იმუშავებს. – გაცნობებით, რომ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაფიცვის გამო, 30 ოქტომბრიდან ისრაელის საელჩო და საკონსულო განყოფილება საქართველოში არ იმუშავებს შემდგომ შეტყობინებამდე, – ნათქვამია საქართველოში ისრაელის საელჩოს ვებ-გვერდზე.

# მუხიანში ერთმანეთს 7 მანქანა შეჯახდა

## 1 ადამიანი დაიღუპა, 3 დაშავდა

გუშინ, 30 ოქტომბერს, საღამოს, თბილისში, მუხიანში, ერთმანეთს 7 ავტომანქანა შეეჯახა, მათ შორის სამარშრუტო ტაქსი. შემთხვევის შედეგად, ქვეითად მოსიარულე მოხუცი ადგილზე გარდაიცვალა, სამი ადამიანი კი მძიმედ დაშავდა.

დაზარალებულები სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა კლინიკებში გადაიყვანეს. მათ შესაბამისი სამედიცინო კვლევა ჩაუტარდა.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია. მომდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მექვეშე ნაწილით დაიწყო.

**ახალი თარხა**  
**გამომცემი**  
 1993 წლის  
 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოლო გოგიჩაიშვილი  
**რედაქტორი** – ლალი ახლანიშვილი

**საფინანსო სამსახური** – ელენე ბალაიძე  
**სარედაქციო სამსახური** – 294-02-55

**დირექტორი** – ზურაბ შეროძე  
**გაზეთის სამსახური** – მერაბ ლევინაშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარედაქციო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, 3-3 სართული.  
**ტელეფონი/ფაქსი:** 294-06-91  
**ვებგვერდი:** www.akhaitaoba.ge **ელ.ფოსტა:** axtaoba@mail.ru



# ზაზა ხატიასვილი: „ჩვენ გვანდობს, რომ თაღუბაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნონ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, უფლებადამცველი ზაზა ხატიასვილი პასუხობს.

– ბატონო ზაზა, მთავარი პროკურორი აცხადებს, რომ დღეს მოქმედი კანონით, 20 ივნისს დაშვებულ დაზარალებულად ვერ ცნობენ. თვალგამოთხრილი ადამიანი დაზარალებული არ არის?

– მოდით, ჯერ ის ვიკითხოთ, თაღუბაძეს რა განათლება აქვს, ამ განცხადებას რომ აკეთებს? პირადად მე თაღუბაძის ნებისმიერ განცხადებაზე ძალიან მეღიშება. პირველ რიგში, როდესაც ადამიანები დაზარდეს და თვალები დასთხარეს, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადამწყვეტილებების ანალოგიით.

არის გადამწყვეტილება საქმეზე „იხი თურქეთის წინააღმდეგ“, სადაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ თქვა, რომ რეზინის ტყვიების გამოყენება უნდა იყოს უკიდურესად შეზღუდული, მაგრამ თუ გამოიყენებ, აუცილებლად უნდა იყოს მინიმალური და არ შეიძლება დაზარალებული სხეულის დაზარალება. აქციის დარბევის შემდეგ, არ შეიძლება ამ ადამიანებზე ძალადობა, თუ მათგან საფრთხე აღარ მომდინარეობს.

სამივე ეს კომპონენტი, ჩვენ ტელევიზიით ვნახეთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია. აქედან გამომდინარე, აქ მოხდა დანაშაული და ადამიანები, ვინც ეს ჩაიდინეს, ვინც ეს ბრძანება გასცა, ყველა უნდა იქნეს პასუხისმგებელი მიცემული!

– ამიტომ არ ცნობენ ამ ადამიანებს დაზარალებულად, პასუხისმგებლობა რომ აიცილონ?

– თაღუბაძის უწყება არ ცნობს ამ ადამიანებს დაზარალებულად იმიტომ, რომ ჩვენ გავდივართ მოქმედ პრემიერ-მინისტრზე. გახარიათ განაცხადი, რომ მან გასცა ბრძანება. თუ გახარიათ გასცა ბრძანება და თუ ჩვენ დავეყრდნობით ევროპის სასამართლოს გადამწყვეტილებას, მაშინ გახარია არის სისხლის სამართლის დამნაშავე!

როცა ქვეყანაში იქნება სამართლიანი სასამართლო, ამ კაცის ადგილი იქნება ვანო მერაბიშვილის გვერდით, რომელიც ანალოგიური დანაშაულისთვის იხდის სასჯელს!

– პროკურატურა აფარებს ხელს პრემიერის მიერ ჩადენილ დანაშაულს?

## „ასე უფრო მარტივად მოვიშორებთ მას და ივანიშვილის სხვა მონებს“

– რა თქმა უნდა! ვანო მერაბიშვილი უკვე 7 წელია ციხეში ზის, გახარები და მძანი მისნიც, მოხვდებიან ამ კამერებში. ისტორია მეორდება, მათ კი ჭკუა ვერ ისწავლეს. თუ ერთი პრემიერი ციხეში ზის ანალოგიური დანაშაულისთვის, მეორე პრემიერი, რომელმაც უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინა, რანაირად გადარჩება? თანაც გამოვიდა და მოგვასხენა, მე გავეცი ბრძანება.

დღეს ივანიშვილის რეჟიმი ჩემოდნებზე ზის, მისვლენ, რომ ცუდად აქვთ საქმე.

– ჩამოიშლება ეს ძალადობრივი სისტემა?

– რა თქმა უნდა, თან ძალიან მალე. სააკაშვილის რეჟიმი რასაც აკეთებდა ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ნასვლამდე ერთი წლით ადრე, ზუსტად იგივე დაიწყო ივანიშვილის რეჟიმმა.

კოლექტიური მურუსიძე-ჩინჩალაძე მართავს სახელმწიფოს. პირდაპირ ეთერში დადასტურდა, რომ ჩვენს მთავარ პროკურორს, სავარაუდოდ, აქვს ყალბი დიპლომი. სავარაუდოდ იმიტომ ვამბობ, რომ განაჩენი არ არის ჯერ ამ საქმეზე. შეეცანენ საჩივარი და ამაზე გამოძიება არ დაიწყებო. თვითონვე გამოდის კაცი და ამბობს, რომ 1993 წელი უწერია დიპლომში, მაგრამ 1993 წელს ეს ინსტიტუტი არ არსებობდა. აი, ამას ამბობს ეს სასაცილო კაცი. ეს არის დანაშაული, ეს არის ყალბი დიპლომის გამოყენება!

– კეთდება შეფასებები, რომ სასამართლოშიც და პროკურატურაშიც პირდაპირ ივანიშვილის დაკვეთების შესრულება მიდის.

– მე ასე არ ვიტყვი, დაკვეთების შესრულება კი არ ხდება, ხდება უფრო მეტი. ეს კაცია ფაქტობრივ გენერალური პროკურორი. ყველგან მთლიანად ივანიშვილის მმართველობაა. ერთი კაცი გვყავს ჩვენ შინაგან საქმეთა მინისტრიც, გენერალური პროკურორიც, მოსამართლეც, ფინანსთა მინისტრიც, ჯანდაცვის მინისტრიც და განათლების მინისტრიც.

– ფორმით, „ოცნება“ კი ხელისუფლებაში მესაბუთო ვაძინ დასარჩევად ემზადება.

– ეს გამოირიცხება, ვერ დარჩებიან.

– მოსამართლეების დამტკიცების საკითხს ალბათ დიდი სიკანდალი მოჰყვება.

– არანაირი სიკანდალი არ უნდა მოხდეს. თაღუბაძე რომ გახდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ეს უფრო გვანდობს ჩვენ. ყალბი ფაქტობრივი გამოყენება აქვს ამ კაცს. მოვა ახალი ხელისუფლება, გამოიძიებს ამ საქმეს და თაღუბაძეც მოშორდება უზენაეს სასამართლოს.

– რატომ?

– აი, ამ დონეზე უნდა დაბინძურებულიყო იქ რომ ივანიშვილის მონა დანიშნონ, რო-



რეკლუციით ხელისუფლება არ უნდა შეიცვალოს, მაგრამ თუ ივანიშვილმა გააყალბა არჩევნები, აი, მაშინ თუ გამოვა ხალხი, ამას უკვე მთელი დასავლეთი მხარს დაუჭერს, იმიტომ, რომ მან არჩევნების შედეგები მოიპარა. ეს კანონიერი ხელისუფლების დამოხრება კი არ იქნება, ეს იქნება ხმების მოპარვის ალკეგიის მცდელობა და ამას უკვე ყველა მხარს დაუჭერს.

– ჩვენ მოვისმინეთ საკმაოდ მძიმე განცხადებები მეუფე იაკობისგან, თუმცა გენერალური პროკურორი აცხადებს, რომ ამ განცხადებებზე საქმე არ აღიძრება, რადგან აბსურდული განცხადებები იყო. უნდა დაწყებულიყო თუ არა გამოძიება?

– მე ძალიან მორწმუნე ადამიანი ვარ და ეს თემა ჩემთვის ძალიან ფაქიზი და მტკივნეულია. საპატრიარქოს საქმეებში არ უნდა ჩაერიოს არავინ, თვითონ ეკლესიამ უნდა მოაგვაროს ეს საკითხები.

მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილის რეჟიმი ვერ ეგუება, რომ ივანიშვილზე პოპულარული ამ ქვეყანაში ვინმე ცხოვრობს. ამიტომ მიიტანეს შეტევა ჩვენს უწმინდესსა და უნეტარსზე. მეუფე იაკობი თვალში არ მოსდის ხელისუფლებას, რადგან სწორედ მან ჩაუშალა საქართველოში მარისხუანის კულტივაციის გეგმები, რაც ივანიშვილს ჰქონდა დაგეგმილი. დამატებითი მილიარდები ვერ ჩაიჯიბეს და ფარული ომი იყო გამოცხადებული ამ პიროვნების წინააღმდეგ.

მეუფე იაკობი იყო პერსონა ნონ გრატა მაგათთვის და მას დაუპირისპირდა მთელი ეს სახელისუფლებო ბრბო. ეს არის სახელმწიფო ბოროტება, რაც დღეს ხდება ეკლესიასთან მიმართებაში.

# „მაკო გომურის დაზარალებულად ცნობა ივანიშვილის პერსონას დაანბრებს“

იაგო ნაცვლიშვილი

## შალვა შავგულიძე: „20 ივნისის საქმეზე პოლიტიზირებული გადამწყვეტილება მიიღეს“

გენერალური პროკურორი შალვა თაღუბაძე აცხადებს, რომ სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მაკო გომურს და 20 ივნისის მოვლენების დროს სხვა დაზარალებულებს დაზარალებულის სტატუსი არ მიანიჭა.

რამდენად მართალია გენერალური პროკურორი და ჩანს თუ არა პოლიტიკური მოტივაცია? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე, იურისტი შალვა შავგულიძე საუბრობს.

– გენერალურმა პროკურორმა მაკო გომურის თემაზე თქვა, რომ სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მან დაზარალებულად არ ცნო. თაღუბაძე ამბობს, რომ ასეთი კანონი გვაქვს. მართალია შალვა თაღუბაძის ეს განცხადება?

– მე არ გავცნობივარ სასამართლოს გადამწყვეტილებას და არ ვიცი, რითი ასაბუთებს მაკო გომურის დაზარალებულად არცნობას და ამიტომ კონკრეტულად ამ გადამწყვეტილებას ვერ შევაფასებ, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ სრულიად გაუმართლებელია და უკანონოა მაკო გომურის და 20 ივნისის ლამის ფიზიკურად დაზარალებული სხვა პირებისთვის სამართლებრივად დაზარალებულის სტატუსის მიუნიჭებლობა.

– რატომ?

– მაკო გომურს და სხვა დაზარალებულებს ეს სტატუსი მაშინ არ მიენიჭებათ, თუ დადგინდება, რომ მათ თავად ჩაიდინეს დანაშაულებრივი ხელყოფა და მათ მიმართ გამოყენებული ძალა იყო ლეგიტიმური და პროპორციული.

რადგანაც ამ ადამიანების მიმართ ასეთი რამე არ არის დადგენილი, ისინი არიან დაზარალებულები.

– პოლიტიკურ გადამწყვეტილებასთან გვაქვს საქმე?

– რა თქმა უნდა, საქმე პოლიტიკურ გადამ-



თუ დაზარალებულები აქვთ არიან აქციის მონაწილეები, მაშინ ეს ვერსია, რომ ისინი ამავედროულად დამნაშავეები არიან, აღარ გამოდის.

ყვეტილებასთან გვაქვს. სამწუხაროდ, პროკურატურაც და სასამართლოც სრულად პოლიტიზირებული გვაქვს და ეს ადამიანები ამ რაოდენობით რომ იყვნენ დაზარალებულები და გამოიკვეთოს სახელმწიფოს მხრიდან არალეგიტიმური მოქმედებები იმ დღეს, მაშინ ეს დაანგრევს იმ ვერსიას, რომელიც შემოგვთავაზა ბიძინა ივანიშვილმა, რაც შემდეგ მისმა პოლიტიკურმა გუნდმა გაიმეორა.

– რომელი ვერსია?

– ის ვერსია, რომ იქ იყო აქციის მონაწილეთა მხრიდან ჩადენილი რაიმე დანაშაული. ხან რაღაც შეთქმულებასა და სახელმწიფო გადატ-

რილებაზე საუბრობდნენ, ბოლოს კი უფრო შეჩერდნენ მასობრივი არეულობის ორგანიზებასა და მასში მონაწილეობაზე.

თუ დაზარალებულები აქვთ არიან აქციის მონაწილეები, მაშინ ეს ვერსია, რომ ისინი ამავედროულად დამნაშავეები არიან, აღარ გამოდის.

– ანუ იმისთვის, რომ მათი ვერსია არ დაინგრეს, არ ცნობენ დაზარალებულად ამ პირებს?

– რა თქმა უნდა. ის ვერსია, რაც მათ შემოგვთავაზეს, ეს არის მოგონილი და არასწორი ვერსია, რაც მათ აძლევს ხელს პოლიტიკურად. ეს რომ არ დაინგრეს, სწორედ ამის გამო არღვევენ კანონს პროკურატურა და სასამართლო.

მოსამართლის გადამწყვეტილება არ მაქვს წაკითხული და არ ვიცი, რითი დასაბუთა, მაგრამ გენერალური პროკურორის ის დასაბუთება, რომ რადგან ბრალდებული ჯერ არ არის დადგენილი და ამიტომ დაზარალებულად ვერ ცნობს, პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს.

თუ ბრალდებული ვერ დაადგინეს, დაზარალებულს მაინც რჩება უფლება, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს და ეს საკითხი დააყენოს სამოქალაქო წესით. ასეთ შემთხვევაში კი მოპასუხე სახელმწიფო იქნება და ის ხდება ვალდებული, აუნაზღაუროს ეს ზიანი.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ისევ იმ სცენარიტ ნავლენ, რაც ჰქონდათ შუალედური არჩევნების დროს და მურუსიძე დაგისვენს დებატებში? მაშინ მოსამართლე საუბრობდა, რომ გირგვლიანის საქმეზე რა კანონმდებლობაც მქონდა, იმის მიხედვით ვიღებდი გადაწყვეტილებას. ამის სპეკულაციას ხომ არ ხედავთ ახლაც?

– ის მაგალითი, რაზეც აპელირებდა მურუსიძე და რა კანონმდებლობაზეც საუბრობდა, ამ შემთხვევაში არ გამოდგება, მაგრამ თვითონ ასეთი გამოსავალი, ასეთი ფრაზა, რომ კანონი არ მაძლევს სხვა შესაძლებლობას, იმ შემთხვევაშიც ტყუილი იყო და ამ შემთხვევაშიც ტყუილია. მურუსიძე სხვა რამეს გულისხმობდა. ის საუბრობდა იმაზე, რომ თითქმის მას კანონმდებლობა არ აძლევდა შესაძლებლობას, რომ დაეკმაყოფილებინა ჩვენი საკაცაციო საჩივრის მოთხოვნა და

საქმე ხელახალი განხილვისთვის დაებრუნებინა სააპელაციო ინსტანციაში. ეს არასწორი განცხადება იყო.

– ამ შემთხვევაში პრინციპთან დაკავშირებით გისვამთ კითხვას.

– პრინციპი ასე ჩანს. ეტყობა, რაღაც ასეთი კარგი გამოსავალი მოიფიქრეს, რომ მოდეს ასე ვიტყვი, რომ კანონი არ გვაძლევს ამის საშუალებას და ამიტომ არ ვცნობთ ამ ადამიანებს დაზარალებულად.

მე კი მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ისინი ვალდებულები არიან, რომ დაზარალებულად ცნონ როგორც მაკო გომური, ისე სხვა დაზარალებულები, რომლებსაც თავად არ უდასტურებდნენ რაიმე დანაშაულებრივი ხელყოფა სამართლებრივი სიკეთის, ვინაიდან მათ მიადგათ დაზიანებები და ერთადერთი გამართლება მათი დაზარალებულად არცნობის, ისაა, თუ მათ ექნებოდათ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება. მაგრამ ამ შემთხვევაში ლეგიტიმურობასთან ერთად პროპორციულობაც უნდა იყოს.

ვინაიდან არ უდასტურებდნენ ბრალი იმიტომ, რომ მათ არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ, ასეთ შემთხვევაში დაზარალებულად მათი არცნობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირდაპირი დარღვევაა.

სწორი კითხვა დამსევით თქვენ პოლიტიკურ მოსაზრებებზე და ნამდვილად ეს არის ხელისუფლების პოლიტიკური მოთხოვნა თუ დაკვეთა, არ ვიცი, რა ფრაზა ვიხმარო.

ამას ახორციელებს პროკურატურა და, როგორც ჩანს, ეს განხორციელდა სასამართლომაც.

**შევიქანე**  
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ ნიგნებს და ფაიფურს.  
ტელ: 598-43-98-57



# „პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ქრისტიანობის წესებს სცილდება“

## ბიძინა გუჯაბიძე: „მეუფე იაკობის გამოსვლამ თვითონ გამომსვლელი დააზიანა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს ვარშემო მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს.

### ბიძინა გუჯაბიძე:

– ქორეპისკოპოსობიდან უკვე გადადგარი მეუფე იაკობის გამოსვლას სხვა მოვლენები მოჰყვა – უფრო თვალნათელი გახდა ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

ეს ბრძოლა ახლა არ დაწყებულია. ეკლესიაზე თავდასხმების მომსწრეები ადრეც ვყოფილვართ. მისი საჯარო გამოსვლა, განცხადებების ტონი და ლექსიკა არ არის გამართლებული. თუ რაიმეს გამჟღავნება და გარკვევა უნდა, ვინ დაუშლიდა?! მას საამისოდ საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა – ქორეპისკოპოსი და საფინანსო საბჭოს ხელმძღვანელი, ფაქტობრივად, ფინანსთა მინისტრი იყო. იმის მაგივრად, რომ თუ სათქმელი ჰქონდა, საპატრიარქოში ექცა, მან საჯარო სკანდალი არჩია. ამ გამოსვლამ თვითონ გამომსვლელი დააზიანა.

### როგორ?

– რეპუტაციულად. ამასთან ერთად, ის აღმოჩნდა სხვა მოვლენების სტიმულატორი. განცხადებების შინაარსიც საეჭვოა. ის მძიმე ბრალს სდებს თანამდებობის პირებს. ეს ყველაფერი მის მაღალ მორალზე არ მეტყველებს. მეუფე იაკობზე ნაკითხული მაქვს, რომ ადრე ის მხედრიონელი იყო.

### მხედრიონელობას უარყოფს.

– შეიძლება ადამიანი მხედრიონელიც იყოს და სახარბილო ბიოგრაფიით არ გამოირჩეოდეს. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანს არა აქვს უფლება,



დაადგეს სასულიერო გზას და უკეთესი გახდეს. ჩვენ ვმსჯელობთ ამ მაღალი რანგის პირის ახლანდელ სახეზე, მის მეტყველებაზე, მუქარებზე. როგორ შეიძლება, ასეთმა პირმა დამოძღვროს ხალხი და ჩაიბაროს აღსარებები?

ჩნდება მოსაზრება, რომ მისთვის ასეთი მაღალი ხარისხი და ტიტულები არ უნდა მიენიჭებინათ. ადამიანმა ზღვარს არ უნდა გადააბიჯოს, თორემ ეკლესიასაც ავნებს და სახელმწიფოსაც. შეიძლება, მან მომავალში მოინანიოს ჩადენილი, იმიჯის დაბრუნებას კი ვეღარ შეძლებს.

– ამ დღეებში ბევრი საუბრობენ მსჯავრდებული მოძღვრის, მამა გიორგი მამალაძის მიერ გამოვლენილ მამულზე ნერიზე. არსებობს აზრი, რომ ამ ნერილის გამოუმუყურება დაუშვებელია.

– მამა გიორგი მამალაძე, როგორც ჩანს, ამ ნერილით ყველას აშანტაფებს. მესმის, რომ სასულიერო პირისთვის ძნელია ციხეში ყოფნა, მაგრამ

იმისთვის, რომ გათავისუფლდე, მორალს არ უნდა გადააბიჯო!

შევარდნაძემ პოლიტიკური ნიშნით დამაპატიმრა. მძიმე იყო საპყრობილეში ჯდომა. მე შევარდნაძის ჩინოსნებზე ბლომად კომპრომატი ვიცოდი, მაგრამ ამით შანტაჟი არ დამინიჭია. მამა გიორგი მამალაძის ჩანაწერები მოსმენილი გვაქვს და მასზე შთაბეჭდილება შეგვექმნა. იმ ჩანაწერებში ის შინაურულად საუბრობს, მაგრამ იქაც კარგად მელაგნდება დანაშაულის ნიშნები, მისი უზნეობა და თავებობა. მის ინფორმაციას რატომ უნდა ვენდო?

– ამ მოვლენებზე გამოითქვა ასეთი აზრი – ამ მდგომარეობაზე მივედით იმიტომ, რომ ირღვეოდა კონსტიტუცია – ქვეყნის ხელისუფლება და საპატრიარქო ერთმანეთის საქმეებში.

– ეს საფუძვლიანი მოსაზრებაა. არ გახსოვთ, რა პროცესები დაიწყო სააკაშვილის დროს? პირადად სააკაშვილი და მისი ჩინოსნები უხეშად იყვნენ ჩართული ეკლესიის საქმეებში. ისინი შედიოდნენ საკუთარ ტერიტორიაში, დადიოდნენ საპატრიარქოში, პირდაპირ აყენებდნენ ამა თუ იმ მოთხოვნას, პატრიარქს ეუხეშებოდნენ ტელეფონზე.

საკაშვილმა ეპისკოპოსებს ჩამოურიგა ჯიპები. ამის პასუხად, ისინიც ეროვნულ საერო ცხოვრებაში. გარკვეულ საერო და სასულიერო სრუებს ერთმანეთი დიდ პატივში ჰყავდათ.

– პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ვაგრძელებთ?

– ალბათ. მართლმადიდებლური კანონიკით, სანამ პატრიარქი ცოცხალია, ის თავის პოზიციაზე უნდა იყოს. მოსაყდრე ვალდებულია, შეასრულოს პატრიარქის დავალებები და ის შეცვალოს მისი უძღურების შემთხვევაში.

სამწუხაროა, რომ პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ქრისტიანობის წესებს და ზღვარს სცილდება. საზოგადოებას სწორედ ეს აშფოთებს.

# „მდინარაქანს მეტი მაღა აქვს, ჩუბოვილს – ნაკლები“

## ბექა ნაცვლიშვილი: „2020-ის არჩევნებს შეიძლება რიგგარეშე არჩევნები მოჰყვას“

ნათია ხურცილაძე

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ბარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ბექა, ამერიკის ელჩობის კანდიდატმა საქართველოში კელი დენანმა განაცხადა, რომ ყველა მხარესთან იმუშავეს, რათა დარწმუნდეს, რომ 2020 წლის არჩევნები თავისუფალ გარემოში ჩატარდება. ოპოზიცია აცხადებს, რომ ეს არის ხელისუფლების გადაბარების გზავნილი, რაც თავის დროზე სააკაშვილმაც მიიღო. ხელი-სუფლებას კი მიაჩნია, რომ ოპოზიცია განცხადებას სათავისოდ კითხულობს. რას იტყვით?

– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს საერთაშორისო საზოგადოება ნამდვილად დააკვირდება გამადიდებელი შუშით. მეტი ყურადღება ნამდვილად იქნება, რადგან ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა ორი ვადის შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენილიყო. ან საერთოდ არ გამქრალიყო მთლიანად პოლიტიკური ვედიდან.

ცხადია, „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს. თუმცა, ამ არჩევნების მნიშვნელობიდან გამომდინარე არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოება უნდა იყოს მობილიზებული, არამედ ქვეყნის შიგნითაც ყველა უნდა იყოს ძალიან დიდი ყურადღებით, რომ „ქართული ოცნება“ არ მიმართოს იმ მეთოდებს, რომლებიც არჩევნების ბედს შეცვლის. საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

– „ოცნებაში“ არაერთგვაროვანი პოზიციებია. ჩუგოშვილი თვლის, რომ შეიძლება მთი ხელისუფლების გაყოფა მოუწიოთ, ამას კი მდინარაქანს არ უშვებს. ეს რაზე მიაჩნია?

– როგორც ჩანს, ერთს უფრო მეტი მაღა აქვს და მეორეს უფრო ნაკლები. 2020 წლის არჩევნების შედეგების დღეს განჭვრეტა ძალიან რთულია. ამ ერთ წელიწადში რა მოხდება და როგორ შეიცვლება მოვლენები, ამის პროგნოზირება მარტივი საქმე არ არის.

ძალიან ბევრი ფაქტორი იმოქმედებს ამ არჩევნებზე. ასევე მნიშვნელოვანი იქნება, როგორ იმოქმედებენ პოლიტიკური ძალები, შეიძლება კიდევ ვინმე გამოჩნდეს. თუმცა, თუ გულწრფელად გეტყვი, მესამე რეალური ალტერნატივის გამოჩენის მოლოდინი არ მაქვს.

გამოჩნდა მამუკა ხაზარაძე, რომელსაც დიდი ფულადი რესურსი აქვს, მაგრამ, თავისი წარსულიდან გამომდინარე, მოქალაქეებს სიხალსე ვერ შესთავაზებს. ის რეალურ ალტერნატივად ვერ განიხილება.

საზოგადოებაზე ზრუნვა ოლიგარქების მხრიდან, ბიზნესმენების მხრიდან, რომლებიც პოლიტიკაში შემოდიან, არ მგონია, გულწრფელი იყოს. ამას საზოგადოება ხედავს. თუმცა, არიან გულწრფელი, პროფესიონალი ადამიანები, რომლებიც მზად არიან, ემსახურონ ხალხს, მაგრამ მათ საზოგადოებამდე თავიანთი იდეები ვერ მიაქვთ.

– ადამიანების ბედი მათ არ აღეულებთ და მხოლოდ თავიანთი ბიზნესის გადასარჩენად მოდიან?

– რა თქმა უნდა! მშრომელი, რიგითი ადამიანის ბედი არავის ალღევს. უამრავი შეხვედრა ჩავატარე და ადამიანები რეგიონებში, თბილისში პირდაპირ ამბობენ, რომ მთლიანად პოლიტიკური კლასის მიმართ მათი განწყობა სკეპტიკურია, რომ მათ პოლიტიკოსების უბრალოდ არ სჯერათ.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი არჩევნებია, შინაარსზე არავინ არ ლაპარაკობს, მხოლოდ პერსონაჟიკურება ხდება. ამიტომ, ეს არჩევნებიც შინაარსისგან დაცლილი იქნება.

ნამყვანები იქნებიან პერსონები, ის ლიდერები, რომლებიც ვერაფერს შეცვლიან. ადამიანებს სწორედ იმიტომ არ აქვთ ალტერნატივის განცდა, რომ თავიანთ პრობლემებს ამ პერსონებს ვერ უკავშირებენ. ნახეს, რომ პრობლემები კი არ



მოეხსნათ, პირიქით, გაუზარდათ.

ამიტომ არის მნიშვნელოვანი შინაარსი. ადამიანები, რომლებიც ქვეყნიდან ემიგრაციაში არ წასულან და ჯერ კიდევ ხელი ბოლომდე არ ჩაუქნევიან, რეალურ ცვლილებებს ითხოვენ. დაახლოებით 60% ჯერ კიდევ გადაუწყვეტილია, არჩევნები არ აქვს. ამიტომ ამ ადამიანების დარწმუნება იქნება ყველაზე რთული.

– 2020 წლის არჩევნების ჩატარების შემდეგ რიგგარეშე არჩევნებს გამოიცხადებ?

– ნამდვილად ვერ გამოვიცხადებ, იმდენად რთული მოცემულობაა. თუ რადიკალურად განსხვავებული ხედვების, ამბიციების მქონე პოლიტიკური ძალები შევლენ პარლამენტში, თავიანთი უბრალოდ, ვერ ჩამოყალიბდება. და თუ მთავრობას ვერ შექმნი, კონსტიტუციით, უბრალოდ, სხვა გზა არ არსებობს, თუ არა რიგგარეშე არჩევნები.

# 2019 წლის 9 თვეში პრასრულლოვნის მიმართ სქესობრივი დანაშაულის ჩაღწევა 114 პირი მხილავდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის – ნინო ცაციაშვილის ბრიფინგი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლის ინტერესებზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა.

არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამოგდება პირთა მიმართ, სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც სქესობრივი დანაშაულის ჩამოგდებას და მათთვის გარკვეული უფლებების ჩამორთმევას ითვალისწინებს. მაგალითად, სასჯელაღსრულების დანაშაულების დატოვების შემდგომ, დანაშაულის ჩამოგდებას აკრძალავს და სასჯელაღსრულო დაწესებულებაში მუშაობა და ა.შ.

ასევე, შეიქმნება სქესობრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირთა ბაზა, რომლის მიზანია იქნება სქესობრივი დანაშაულის ჩამოგდება პირთა კონტროლი და მათი მხრიდან მოსალოდნელი სექსუალური ძალადობისგან არასრულწლოვნების დაცვა. აღნიშნულ პროექტს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე დაუჭირა მხარი.

გამოძიების ეფექტიანად ჩატარებასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია სექსუალური დანაშაულის საქმეებზე მსხვერპლის ინტერესებზე მორგებული გამოძიების წარმოება. ამ მიზნით, სამინისტროში შეიქმნა მონმისა და დახარალებული კოორდინატორის სამსახური. კოორდინატორები პრიორიტეტულად მუშაობენ სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან და ეხმარებიან დანაშაულის შედეგად გამოწვეული პირველადი სტრესის გამკლავებასა და შესაბამისი სერვისებით სარგებლობაში.

2019 წლის 9 თვეში (იანვარი-სექტემბერი) რეგისტრირებულ იქნა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის 306 შემთხვევა.

ასევე, 2019 წლის 9 თვეში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, გენერალური პროკურატურისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენისთვის პასუხისგებაში მიეცა 152 პირი, რომელთაგან 114 პირი მხილვულ იქნა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულში, ხოლო დანარჩენი 38 პირი – სრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის ქმედებაში.

2018 წლის ანალოგიურ პერიოდში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა 127 პირს, რომელთაგან 101 პირი მხილვულ იქნა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სექსუალურ დანაშაულში, ხოლო დანარჩენი 26 პირი – სრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის ქმედებაში.

არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის საქმეებში ყველაზე მეტად წარბოხს გარყვნილ ქმედებისა და სრულწლოვნის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწევლად ნებისუფლობითი სქესობრივი კავშირის შემთხვევები.

2019 წლის 9 თვეში, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ გარყვნილ ქმედებაში მხილვულ იქნა 39 პირი, ხოლო 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში – 16 პირი.

2018 წელთან შედარებით, გარყვნილი ქმედების ჩადენის ფაქტებზე არასრულწლოვანთა და მათი მშობლების მხრიდან მომართვიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდილია, რაც ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიუთითებს.

გარყვნილი ქმედების ფაქტებზე შეტყობინების ინიციატორები არიან:

ოჯახის წევრი/მშობელი – 53%, დაზარალებული ბავშვი – 8%, სოციალური მომსახურების სააგენტო – 6%, მანდატური სამსახური – 6%, სკოლა – 4%, მეზობელი – 3%, ბავშვზე ზრუნვის ინსტიტუციები – 1%, არასამთავრობო ორგანიზაცია – 1%, სხვა – 18%.

მივმართავთ საზოგადოებას, ბავშვების მშობლებს და ყველა იმ პირს, ვისთვისაც ცნობილი ხდება არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სქესობრივი დანაშაულის შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, რათა მოხდეს დანაშაულზე დროული რეაგირება და თავიდან იქნას აცილებული დანაშაულები მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.



# ვახტანგ გომელაურმა შს-ს კრიმინალური პოლიციის სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს ბაზა დაათვალიერა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს ბაზა დაათვალიერა. მინისტრი ბაზაზე არსებულ ინფრასტრუქტურას გაეცნო.


ვახტანგ გომელაური ბაზაზე წვრთნების პროცესს დაესწრო და სასწავლო პროგრამის მიმდინარეობას გაეცნო.

შინაგან საქმეთა მინისტრი ამავე ბაზაზე მომუშავე პირად შემაჯავრობასაც შეხვდა და უშუალოდ მათგან მოისმინა ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები. შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.



# „იმ შეურაცხყოფას სჯობდა, მოვკაალი“

## გიორგი ნიჟარაძეს ტაქსისტ მიხეილ კაჭარავას მკვლელობისთვის პატიმრობა შეეფარდა



სახით, პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რომან ხორაძემ გუშინ, 30 ოქტომბერს, მიიღო.

თავად ბრალდებული ბრალს არ აღიარებს.

– თავს არ ვცნობ დამნაშავედ... იმ მომენტში რაც მჭირდა, ვერაფერს ვიხსენებ, დედამინის ზურგზე ვერაფერს ვიხსენებ. იმ შეურაცხყოფას, რაც მომაცენა, სჯობდა, მოვეკაალი და სიტყვა არ ეთქვა... ბოლოში მინდა მოეხსნა, ვინც აქ მხედდა და ჩემს ცრემლს ხედავს, – განაცხადა ბრალდებულმა პროცესზე.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ გიორგი ნიჟარაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობა დააყენა, რასაც დაცვის მხარე არ დაეთანხმა. ბრალდებულის ადვოკატმა თვდაპირველად ნიჟარაძის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შუამდგომლობა დააყენა, შემდეგ კი მისი 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება მოითხოვა.

სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ გიორგი ნიჟარაძეს ტყუილისცალი პატიმრობები აქვს.

ადვოკატ ავთანდილ ტყეშელავას განცხადებით, ბრალდებული ტაქსის მძღოლს შეუთანხმდა, რომ მგზავრობის საფასურს, 15 ლარს გადაუხდოდა.

ადგილზე მისვლის შემდეგ გიორგი ნიჟარაძე ნათესავთან ავიდა ფულის გამოსართმევად, ტაქსის მძღოლს კი საბუთები დაუტოვა. ადვოკატის თქმით, ნიჟარაძეს ნათესავმა 10 ლარი მისცა, რის გამოც ტაქსის მძღოლსა და ბრალდებულს შორის კონფლიქტი მოხდა.

ადვოკატი აცხადებს, რომ ტაქსის მძღოლი ბრალდებულს დედა, შემდეგ კი გარდაცვლილი ტყუილისცალი შეაგინა, რის შემდეგაც ბრალდებულმა თავდაცვის მიზნით დანა ამოიღო.

ადვოკატი აცხადებს, რომ ბრალდების მხარეს ტაქსის მძღოლის გარდაცვალების მიზეზი არ აქვს დადგენილი და ის ექიმების უყურადღებობით გარდაიცვალა.

პროკურორ გია შიშველაშვილის განცხადებით, აღნიშნული დაკავშირებით, ექსპერტიზა ამ ეტაპზე დანიშნული არ არის.

შემთხვევა ვარკეთილში, 27 ოქტომბერს მოხდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

# 16 წლის ბიჭის თვითმკვლელობის საქმეზე დაკავებული 2 არასრულწლოვანი პატიმრობაში დატოვდა

ვარკეთილში, მე-9 სართულიდან გადავარდნილი 16 წლის ბიჭის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ძარცვის ბრალდებით დაკავებული 2 არასრულწლოვანი კვლავ პატიმრობაში დარჩა.



გუშინდელ, 30 ოქტომბერს, სასამართლო სხდომაზე დაკავებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადასინჯა და ის, მოსამართლე ლევან გელოვანის გადანიშნულებით, ძალაში დარჩა.

ერთ-ერთი არასრულწლოვანის ადვოკატის, დავით გირგვლიანის, განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე პროკურატურამ ექსპლუზიური უფლება გამოიყენა და ბრალდებულ არასრულწლოვნებს გარე სამყაროსთან კომუნიკაცია შეუზღუდა.

– პროკურატურამ არასრულწლოვნებს გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაწილში შეზღუდვა დაუწესა. ისინი ვერ ისარგებლებენ პაემნით, ტელეფონით, ოჯახს ვერ დაუკავშირდებიან. ეს ორი არასრულწლოვანი პროკურატურამ გარე სამყაროს, მშობლებს მოწყვეტა, რაც არასრულწლოვნებს მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ აყენებს. აღნიშნული შეზღუდვა პროკურატურის ექსპლუზიური უფლებაა, მაგრამ ამის გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ მიუღებელია, – განაცხადა გირგვლიანმა.

საქმის პროკურორ ნათია ქომოშვილის განცხადებით, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე

ნარე დაუნესდა არასრულწლოვნებს გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვა.

საქმეზე სულ 6 პირი დაკავებული. მათგან 2 არასრულწლოვანია, მათი საქმე დანარჩენი 4 პირის საქმისგან ცალკე წარმოებდად მიმდინარეობს.

არც ერთი მათგანი ბრალს არ აღიარებს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, ვარკეთილის მე-3 მასივში, 2003 წელს დაბადებულ გ.ყ.-ს მეგობრების თანდასწრებით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაცნეს და დამამცირებელ გარემოებაში, ძალის გამოყენებით წაართვეს მობილური ტელეფონი.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ არასრულწლოვანმა თავი მოიკლა.

გამოძიება მიმდინარეობს ძარცვის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, თვითმკვლელობამდე მიყვანის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 115-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

# რამაზ ბ.-მ და იოსებ ქ.-მ თურქეთიდან ყალბი 500-ევროიანები შემოიტანეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული სამუშაოების შედეგად, ყალბი ვალუტის გასაღების ფაქტზე რამაზ ბ. და იოსებ ქ. დააკავეს.




გამოძიებამ დაადგინა, რომ რამაზ ბ.-მ თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანა 500 ევროს ნომინალის ყალბი ბანკნოტები, საიდანაც იოსებ ქ.-ს და სონია ზ.-ს დახმარებით, 9.800 ლარად საქართველოს მოქალაქეზე გაასაღა 10 ცალი 500-ევროიანი ბანკნოტი, ხოლო 25 ერთეული ანალოგიური ნომინალის მქონე ბანკნოტი ამოღებულია მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად. ჯამში ამოღებულია 17.500 ევროს ყალბი ბანკნოტები.

გამოძიება ყალბი ვალუტის გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# ლივნი მოქალაქე თავდასხმისთვის ზ.ქ.-ს 9 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებული ზ.ქ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 6 მარტს, თბილისში, ტყვარჩელის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ლიფტის კაბინაში, ძარცვისთვის სასამართლოდ, ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მყოფი ზ.ქ., ბასრი საგნით შეიარაღებულ თანამზრახველთან ერთად, თავს დაესხა რ.ს.-ს და სიცოცხლისთვის საშიში

ძალადობის გამოყენების მუქარით გასტაცა 50 ლარი, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ზ.ქ. 2019 წლის 6 მარტს თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზ.ქ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# გორთან მანქანა ბატონის ჯიბის შეჯახა

2 ადამიანი დაიღუპა, 2 დაშავდა

29 ოქტომბერს საღამოს გორთან მომხდარი ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, 2 კი საავადმყოფოშია გადაყვანილი.



დასავლეთ საქართველოდან თბილისის მიმართულე-ბით მოძრავი მსუბუქი ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ავტობანის დამცავი ბეტონის ჯებირს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად ავტომანქანაში მყოფი 2 მგზავრი დაიღუპა. მძღოლი და კიდევ ერთი პირი სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანეს.

მორიგე ექიმის დავით გასიტაშვილის განცხადებით, ერთ პაციენტს ტვინის შერყევა და ნეკროზის მოტეხილობა აღენიშნება, მეორეს კი – ტრავმული დაზიანებები.

ავტომანქანაში მყოფი პირები ნათესავები არიან.

# ქარელთან 2 მანქანა შეეჯახა ერთმანეთს

3 ადამიანი დაშავდა



დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გორში, კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანა. ერთ მათგანს ამბულატორიული დახმარება გაენი და კლინიკიდან გაწერილია, ორი კი მკურნალობას განაგრძობს.

ექიმების განცხადებით, ერთ-ერთი პაციენტის მდგომარეობა უმძიმესია. იგი მართვით სუნთქვაზე იმყოფება. პაციენტს ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ქარელთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ერთი, 30 წლის მამაკაცის მდგომარეობა მძიმეა. ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

# მასშტაბური კიბერტავდასხმის შედეგად აღმოფხვრილია

28 ოქტომბერს, გამთენიისას, საქართველოს კიბერსივრცეზე განხორციელებული ყველაზე მასშტაბური კიბერტავდასხმის შედეგად აღმოფხვრილია.



„სხვა ორგანიზაციებთან ერთად, თავდასხმის ობიექტი კომპანია „პროსერვისის“ მფლობელობაში არსებული სასერვერო გახდა. თავდასხმის შედეგად მსუბუქიდან გამოვიდა კომპანია „პროსერვისის“ სერვერებზე განთავსებული ვებგვერდების ნაწილი.

პრობლემის აღმოჩენისთანავე, კომპანია „პროსერვისმა“, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და დარგის წამყვან ექსპერტებთან ერთად, უწყვეტ რეჟიმში დაიწყო სარეაქტიული სამუშაოები, ხოლო 29 ოქტომბრის ღამის 03:00 საათზე ყველა პრობლემური ვებგვერდი უკვე თავდაპირველ ფუნქციონალს დაუბრუნდა.

სხვადასხვა არხებით ვრცელდებოდა ინფორმაცია დაზიანებული ვებგვერდების რაოდენობაზე. კომპანია „პროსერვისი“ აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, ზუსტად რა რაოდენობის ვებგვერდი იყო თავდასხმის ობიექტი საქართველოს მასშტაბით, უცნობია, თუმცა კომპანიაში 300-მდე ვებგვერდის მფლობელის მომართვიანობა მოხდა კიბერტავდასხმის პირველივე საათებში.

კომპანია „პროსერვისის“ განცხადებით, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხები მიმდინარე ანალიზისა და გამოძიების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

# „ღათო და მთვარისა აღვიღა დაიღუნა, მათი დაღუპილნი მღვთაპაოუბაში“



## ავარიას და-ძმა შეენირა

ახალციხე-ადიგენის გზაზე, სოფელ ფარეხასთან მომხდარმა ავტოკატასტროფამ, რომლის დროსაც „მერსედის“ მარკის ავტომობილი თანმგზავრი მიმართულებით მიმავალ სატვირთოს შეეჯახა, ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ხლის მოსობა გამოიწვია.

აბასთუმანში მცხოვრები და-ძმის შესახებ მათი ახლობელი კვირის პალიტრას ესაუბრა:

– დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ულამაზესი, უკარგესი ოჯახის შვილები დაიღუპნენ. დათო ისეთი სავერცელი ბიჭი იყო ფიზიკურად თუ სულიერად, მთელ აბასთუმანს უყვარდა. ბავშვებს მამა ადრე გარდაცვალათ, დედამ ყველაფერი გააკეთა შვილებისთვის და გზაზე დააყენა.

დათო ფიზიკურად ძლიერი ბიჭი იყო, რაგბს თამაშობდა. ახლა კი ჯარში მსახურობდა, ახალციხის ბატალიონში. მანქანაც ახლახან შეიძინა, საკუთარი შრომით. ეს უბედურებაც მაშინ მოხდა, როდესაც დათო, მისი უფროსი და და დედა ახალციხიდან აბასთუმანში შინ მოდიოდნენ მანქანით. ავარია საღამოს მოხდა, 6 საათზე. დათო იჯდა საჭესთან. ზუსტად არავინ იცის გარდაცვლილი და-ძმის დედა ძალიან მძიმედ არის, შვილებს გარდაცვალების ამბავი არ იცის.

– და-ძმა ადგილზე გარდაიცვალა? ავტოკატასტროფის მიზეზი რა იყო?

– დიახ, ადგილზევე გარდაიცვალნენ. დათოს ალკოჰოლი ნამდვილად არ ჰქონია მიღებული, – ის დასთან და დედასთან იყო და შინ მოდიოდა. ზუსტად არც ის ვიცით, უბედურება როგორ და ეთი მიზეზით მოხდა, ჭირისუფლებისთვის ამას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს.

# მარჯანიშვილზე დახვის პოლიციის აქივანი პატარა ბიჭს დაეჯახა

გუშინ, 30 ოქტომბერს, საღამოს, მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ბიჭი დაშავდა.

შემთხვევა მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარე მოხდა. კურიერის ინფორმაციით, ქვეითად მოსიარულე არასრულწლოვანი ბიჭს დაცვის პოლიციის ეკიპაჟი დაეჯახა. დაზარალებულს მსუბუქი დაზიანებები აღენიშნება და საავადმყოფოშია გადაყვანილი.




საქმე 276-ე მუხლის მეორე ნაწილით არის აღმრული.

# ჭალადიტან საფიქროთ აპოზრილად


ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიტან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი პირი დაშავდა.

სატვირთო ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ხეს შეეჯახა და ამოტრიალდა. შემთხვევის შედეგად დაშავდა მძღოლი. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სამაშველო ჯგუფები და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. მაგისტრალზე მოძრაობა პარალიზებული იყო.





# ალ-ბალდადი მასთან ჩანერგილმა ინფორმატორმა გასცა ის 25 მილიონ დოლარს მიიღებს



ალ-ბალდადი ადგილმდებარეობის და მის შესახებ სხვადასხვა ცნობების გადაცემისთვის ინფორმატორს აშშ 25 მილიონ დოლარს გადასცემს. ამის შესახებ „ვაშინგტონ პოსტი“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება.

ამერიკული გამოცემის მიხედვით, ინფორმატორი ისლამური სახელმწიფოს რიგებში ირიცხებოდა და სირიაში, კერძოდ, იდლიბის პროვინციაში დაჯგუფების ლიდერის გადაადგილებას და სხვადასხვა ადგილში მის თავშესაფარს უზრუნველყოფდა.

ის ტერორისტული დაჯგუფების ლიდერის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ალ-ბალდადი ინფორმატორს იმდენად ენდობოდა, რომ საკუთარ ოჯახის წევრებს სამედიცინო შემოწმების დროს სწორედ მასთან ერთად უშვებდა.

„ვაშინგტონ პოსტი“ ცნობით, ალ-ბალდადი ადგილმდებარეობის დადგენა და მის წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარება სწორედ აღნიშნული ინფორმატორის მიერ მოპოვებული ცნობებით მოხერხდა. მან ამერიკულ დაზვერვას არა მხოლოდ ადგილმდებარეობის შესახებ ცნობები, არამედ იმ სახლის დეტალური გეგმა გააძღვა, რომელშიც ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი იმყოფებოდა.

აშშ-ის ინფორმატორი ოპერაციის დროს აღნიშნულ სახლში თავად იმყოფებოდა. ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, ორ კალენდრისკენი

დღეში ის ოჯახთან ერთად სირიიდან გაიყვანეს. ინფორმატორი ახლა აბუ ბაქრ ალ-ბალდადის შესახებ ცნობების მიწოდებისთვის აშშ-ის მიერ დაწესებულ ჯილდოს, 25 მილიონ დოლარს მიიღებს. თუმცა, როგორც გამოცემა იუწყება, ინფორმატორი ასე მხოლოდ თანხის გამო არ მოქცეულა – მისი ნათესავები ისლამური სახელმწიფოს მსხვერპლი გახდნენ.

ალ-ბალდადი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემასთან ერთად, ინფორმატორმა ამერიკულ დაზვერვას სხვა მნიშვნელოვანი ცნობებიც გადასცა. მაგალითად ის, რომ ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი ყოველთვის შაჰიდის ქამრით გადაადგილდებოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში თავი აუფეთქებინა.

„ვაშინგტონ პოსტი“ ინფორმატორის მოქალაქეობას და ეთნიკურ ჯგუფს არ ასახელებს, თუმცა სტატიაში აღნიშნულია, რომ ის „სირიის დემოკრატიული ძალების“ მებრძოლებთან კონტაქტობდა, ერთი ამერიკული მაღალჩინოსანი კი აცხადებს, რომ ის სუნიტი არაა.

ინფორმატორის შესახებ ცნობები ვაშინგტონში ჯერ კიდევ ზაფხულში მიიღეს, თუმცა თვეების განმავლობაში მისი შემოწმება მიმდინარეობდა. ამერიკული დაზვერვის ასეთი სივრთხილზე 2009 წელს მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია, როდესაც ტერორისტული დაჯგუფება ალ-ქაიდას ლიდერის, ბინ ლადენის შესახებ ცნობების გადაცემის მიზნით დაგეგმილი შეხვედრის დროს, ინფორმატორმა თავი აიფეთქა.

ამ შემთხვევაში ინფორმატორის ცნობებმა რეალური წონა ერთი თვის წინ მიიღო. სწორედ ამის შემდეგ ვაშინგტონში აბუ ბაქრ ალ-ბალდადის წინააღმდეგ ოპერაციის დაგეგმვა დაიწყო.

ალ-ბალდადის წინააღმდეგ ოპერაცია სირიაში, იდლიბის პროვინციაში 26 ოქტომბერს ჩატარდა. მასში აშშ-ის არმიის ელიტური ქვედანაყოფი „დელტა“ და რეინჯერების 75-ე პოლკი მონაწილეობდნენ.

## აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხეთს განხორციელებული ანტიარაბული



The Armenian 'Genocide'

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხეთს განხორციელებული ანტიარაბული დოკუმენტს 405-მა კანონმდებელმა დაუჭირა მხარი, 11 წინააღმდეგ წავიდა.

როგორც რეზოლუციაშია აღნიშნული, „გენოციდის მსხვერპლთა სსოფნისათვის პატივის მისაგებად მნიშვნელოვანია, რომ გენოციდი ოფიციალურად იყოს აღიარებული“.

მსგავს რეზოლუციებს კონგრესმენები წლების განმავლობაში განიხილავდნენ, თუმცა დოკუმენტი წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის კენჭისყრაზე აქამდე არასდროს გაუტანიათ.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ამ აქტს უსარგებლო და შეურაცხყოფელი უწოდა. – აქედან მინდა მივხაროდ აშშ-ის საზოგადოებას და მთელ მსოფლიოს: ეს უსარგებლო ნაბიჯია და ჩვენ მას არ ვაღიარებთ. ეს, ჩვენი აზრით, თურქი ხალხისთვის უდიდესი შეურაცხყოფაა, – განაცხადა ერდოღანმა ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში.

მისივე თქმით, კენჭისყრა პოლიტიკურად მოტივირებული იყო. – თურქეთის პარლამენტი კონტრარეზოლუციას მიიღებს, – აღნიშნა ერდოღანმა.

## ისრაელი თავდასვის საგანგებო რეჟიმზე გადადის



ისრაელის საპარეო ძალები საპარეო თავდაცვის საგანგებო რეჟიმში გადავიდნენ, მთელი მსოფლიოს მას შემდეგ კი ისრაელის საელჩოების დაცვა გაძლიერდა.

ქვეყანაში გაძლიერებული თავდაცვის სისტემები, რადგან ირანმა შესაძლებელია ფრთოსანი რაკეტებით ან საფრენი აპარატებით თავდასხმა განახორციელოს ისრაელის ტერიტორიაზე.

ცოტა ხნის წინ ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიჰაუმ ირანიდან მომდინარე საფრთხეებზე ისაუბრა. – ირანს სურს, გამოიყენოს ერაყი, სირია, ლიბანი და იემენი, როგორც ბაზები, ისრაელზე შეტევების განსახორციელებლად, – განაცხადა მან.

## ლიბანის პრემიერი გალაგა



ლიბანში მასობრივი საპროტესტო აქციებია. ბეირუთის ქუჩებში 100.000 ადამიანი გამოსული. აქციები უკვე მე-13 დღეა გრძელდება.

ქვებოლას ლიდერმა, შეიქმა ნასრალამ აქციები დაგმო. – ესაა ამერიკის მიერ დაფინანსებული და ამერიკული სუბსიდიზირებული მიერ მომზადებული აქცია, – თქვა ნასრალამ.

ლიბანის პრემიერი საად ჰარირი პოსტიდან გადადგა. – რაკი საქმე აქამდე მივიდა, პრემიერად დარჩენის უფლება აღარ მაქვს, – თქვა ჰარირიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ლატარიის მოყვარული თავაშის საკუთარი შაჰიკის წყალობით მილიონარი გახდა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ სიდნეის მკვიდრმა ლატარიის თამაშის საკუთარი ტაქტიკა შეიმუშავა და ორმაგი ჯეკპოტი მოხსნა.

– სიტყვები არ მყოფნის, – აღიარა ლატარიის გამარჯვებულმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, – ადრე ვყადულობდი ლატარიის QuickPick-ს ბილეთებს შემთხვევით ამოსული რიცხვების კომბინაციით. ამჯერად კი დავეჯექი, გავანალიზე, ყველაზე ხშირად რომელი რიცხვები გამოიყენება თამაშში, ხოლო რომელი იშვიათად და უბრალოდ საკუთარი კომბინაცია შევადგინე.

ავსტრალიელმა ლატარიის ბილეთის პირველი რიგი შეავსო და აღმოაჩინა, რომ რიცხვების ჩანარა მეორე რიგშიც იყო საჭირო. – ორივე რიგი ერთნაირი რიცხვებით სპეციალურად არ შემივსია, – ამტკიცებს ის, – ვფიქრობ, ეს უბრალოდ გარემოების დამთხვევით მოხდა.

ამგვარად მამაკაცმა საკუთარი საპრიზო მოგება გააორმაგა და 1,3 მილიონი ავსტრალიური დოლარის მფლობელი გახდა.



## მამაკაცმა 80 მილიონი დოლარი მოიგო და სამსახურზე უარი არ თქვა



ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა 54 წლის ფილიპ ჩიპევამ ლატარია მიჩიგან პოუვერბოლში 80 მილიონი დოლარი მოიგო.

ამერიკელმა აღიარა, რომ რეგულარულად ყიდულობდა ლატარიის ბილეთებს, როდესაც ხედავდა, რომ მოსაგები თანხა იზრდებოდა.

ჩიპევამ მოსაგები თანხის მორიგი გაზრდის შესახებ შეიტყო და ადგილობრივ მაღაზიაში შეიარა. მან იქ პროდუქტები შეიძინა და ბოლო მომენტში გაასხენდა, ბილეთი უნდა ეყიდა. მან ლატარიის ბილეთები თავის სატივრო მანქანაში შეინახა და დაივიწყა.

მოგვიანებით მას რძალმა დაურეკა და უთხრა, რომ მათ რეგიონში ვიღაცამ მსხვილი თანხა მოიგო. ჩიპევამ ბილეთები მოიხაზა და მეუღლესთან ერთად შეამოწმა. ამერიკელმა აღიარა, რომ თვალბინიდან ცრემლები წამოუვიდა, როდესაც ნახა, რომ ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა და მათ 80 მილიონი დოლარი მოუტანა. ის ყველა გადასახადის გასტუმრების შემდეგ 42 მილიონ დოლარს მიიღებს.

ლატარიის გამარჯვებულმა, რომელსაც 7 შვილი და 21 შვილიშვილი ჰყავს, განაცხადა, რომ აპირებს სახლი იყიდოს თავისთვის და შვილებისთვისაც, ასევე მოტოციკლი და ავტომობილი. ის დაჟინებით ამტკიცებს, რომ ფული მას ვერ შეეცვლება.

ჩიპევამ სამსახურიც კი არ მიატოვა მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ყოველდღე ეკითხება, თუ რისთვისაა დადის სამსახურში.

მოამზადა კანა სატიაშვილიმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული ნაწარმი, რომელიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მაღლიერი პაციენტი ჰყავს. ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანის სრულ ელასტიურობას უზრუნველს, ხელს უშლის კანის დაზოჯებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორციელებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირების და ლაქების გარეშე. **ვმკურნალობ: 1. სეზონურებს; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულმარვას („იოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარსს; 14. ნანოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვსნის მეჭეჭებს; 16. განვეკურნავ ჩვილებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განხილვა

● იყიდება მსხვილიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსახერხებელი. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფინობის, ყურებში შუილის, სენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გავრცობს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდია. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამოწვეული სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გამოწმება-გაახალგაზრდავა, ლვილის განმეგნა უფრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გავანსალება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მესხიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის განმეგნა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ლვილის განმეგნა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გავანსალება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმძლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + გარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამოიყენება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომას სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მონიტორინგით კურსით 5-18 კგ-ის დაკლება. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იზრუნეტიც განმეგნებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გავანსალების ცენტრი – სქესობრივი უფლებებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციონირება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუგადასტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ნვა, ტვიკილი, ქვიკილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებელი შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციები განმეგნა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გავანსალება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნოტეტის განმეგნებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სასხარათა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზი, ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი, პოდაგრული ართროზი, მანკოლოზი, პოდაგრული სპონდილოზი და სხვა გამოწვეული დაზიანებული სტრუქტურისა და გაცეცილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტვიკილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მონესრიგება, ასევე გავანსალება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან განმეგნით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათი.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიის, „თეთრი ცხელი“, მესხიერების დაბრუნება-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ლვილისა და სისხლის დეტოქსიკაცია უფრედულ დონეზე, სისხლძარღვების განმეგნა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნოტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისგან განთავისუფლება, გავანსალება ეკოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● აპკურნალი-კოსმეტოლოგი გთავაზობთ შემდეგი სახის მკურნალობას: სახეზე ჩირქოვანი გამონაყარის „აკნეს“ ლაქების მოხსნა, კანის გამოცვლა უმტკივნეულოდ, დახეთქილი და გაუხეშებული ქუსლების, ხელების მკურნალობას სხნარებისა და მალამოების საშუალებით. ტელ: 555-11-00-06.



### შენგელია საუკეთესო, შერაძინა ზუროს მოუბო



თორნიკე შენგელია ევროლიგაში წარმატებულ თამაშს აგრძელებს, თუმცა მისი ბასკონია ცუდად გამოიყურება და უკვე მე-3 მარცხი იგება. მე-5 ტურის მატჩში ბასკონიელები ფრანგულ ვილერბანს ესტუმრნენ და დაძაბულ ბრძოლაში - 63:66 დამარცხდნენ.

ბასკონიელთა ქართველი კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იყო. შენგელიამ 30 წუთში 17 ქულა (საუკეთესო მაჩვენებელი მატჩში) ჩააგდო, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 25 იყო, რაც თამაშში

საუკეთესო შედეგია ვილერბანელ ტონი ჯეკირისთან ერთად. თოკომ 17 ქულას 7 მოხსნა, 2 პასი და 1 ბლოკი დაუმატა.

2 მოგებითა და 3 მარცხით ბასკონია პანათინაიკოსთან მე-11-12 ადგილებს იყოფს. მე-6 ტურის მატჩს შენგელიას გუნდი შინ, გერმანულ ბაიერნთან გამართავს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების 2 გამორჩეული ფიგურა ერთმანეთს ესპანურ კუნძულ ტენერიფეზე შეხვდა. ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის 2 დაუმარცხებელი გუნდის - გიორგი შერაძინის იბეროსტარისა და ილიას ზუროსის პერიტერის გზები ტენერიფეში გადაიკვეთა. ც ჯგუფის ლიდერთაგან ერთ-ერთი უდანაკარგოდ უნდა დარჩენილიყო და ეს შერაძინის გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც 72:68 დაამარცხა მეტოქე.

შერაძინის სასტარტო შემადგენლობაში იყო და 24 წუთში 11 ქულა, 7 მოხსნა, თითო პასი და ჩაჭრა მიითვალა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 11 იყო. გამარჯვებულში საუკეთესო დანი დიგის იყო 16 ქულით. ქართველი ცენტრისთვის ეს აღმოჩნდა ყველაზე მწირშედეგიანი მატჩი მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაში. აქამდე 2 შეხვედრაში - რუსულ ნიჟნი ნოვგოროდთან და ჩერნოგორიულ მორნართან შერაძინმა ჯამში 43 ქულა მოიხვეჭა.

ამ გამარჯვებით ტენერიფე ც ჯგუფის ლიდერად დაიკვიდრდა.

## საუთკემპონა თაჰი ღაისაჯა

საუთკემპონის ფეხბურთელებმა და სამწვრთნელო შტაბის წევრებმა ერთი დღის ხელფასი საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაურიცხეს. „წმინდანებმა“ კეთილი მიზნებისთვის 25 ოქტომბერს მისალმები ანაზღაურება გაიღეს.



HIGHLIGHTS



ეს სწორედ ის დღეა, როცა საუთკემპონი საკუთარ კედლებში ლესტერთან 0:9 გაანადგურდა.

გუნდმა მიღებული გადამწყვეტილება საფეხბურთო სამყაროს თავადვე ამცნეს და განცხადებაც გაავრცელეს: - საუთკემპონის ძირითადი გუნდის ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბის წევრები გასულ პარასკევს მისალმები ხელფასს საქველმოქმედო ორგანიზაცია „საინტის ფონდს“ გადაურიცხავენ.

საუთკემპონმა უქმეები სტივალდის კამპუსში გაატარა და კლუბის გულშემატკივრებისთვის ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლაზე მუშაობდა. სწორედ ამიტომ გუნდმა გადამწყვეტი ლესტერთან მატჩის დღეს მისალმები ხელფასი საქველმოქმედო ფონდს გადაურიცხოს.

ფონდი საუთკემპონში მცხოვრებ ბავშვებზე, მოზარდებსა და რისკის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებზე გახლავთ ორიენტირებული. ორგანიზაციის მიზანია მათ პოტენციალის გამოვლენასა და ცხოვრების შეცვლაში დახმარონ.

რაც შეეხება საუთკემპონს, ლესტერთან მატჩის შემდეგ, რაღაც პასენჟურის გუნდი მე-18 ადგილზე დაქვეითდა. საუთკემპონს რთული კალენდარი აქვს და უახლოეს მომავალში გასაყარნი ზონისგან თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდება.

## შედეგები

### 29 ოქტომბერი ფეხბურთი

#### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-ატლეტიკო ..... 1:1  
ბარსელონა-ვალიადოლიდი ..... 5:1

#### სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	10	7	1	2	28-11	22
2.გრანადა	10	6	2	2	17-10	20
3.ატლეტიკო	11	5	5	1	11-6	20
4.სოსიედადი	10	6	1	3	17-10	19
5.სევილია	10	6	1	3	13-11	19
6.რეალი	9	5	3	1	16-9	18
7.ვილიარეალი	10	5	2	3	24-14	17
8.ვალადოლიდი	11	3	5	3	11-14	14
9.ოსასუნა	10	3	5	2	10-9	14
10.ბილბაო	10	3	4	3	8-7	13
11.ხეტაფე	10	3	4	3	14-14	13
12.ვალენსია	10	3	4	3	14-16	13
13.ალავესი	11	3	2	5	9-14	12
14.ლევანტე	10	3	2	5	10-12	11
15.მალორკა	10	3	1	6	7-13	10
16.ვიტორია	10	2	3	5	10-15	9
17.ბეტისი	10	2	3	5	12-20	9
18.სელტა	10	2	3	5	5-12	9
19.ესპანოლი	10	2	2	6	5-15	8
20.ლევანტე	10	1	2	7	5-14	5

4.ნაპოლი	9	5	2	2	18-11	17
5.რომა	9	4	4	1	14-11	16
6.ლაციო	9	4	3	2	18-10	15
7.კალიარი	9	4	3	2	13-8	15
8.პარმა	10	4	1	5	15-14	13
9.ფიორენტინა	9	3	3	3	13-12	12
10.ბოლონია	9	3	3	3	12-12	12
11.ვერონა	10	3	3	4	7-8	12
12.ტორინო	9	3	2	4	11-12	11
13.მილანი	9	3	1	5	9-13	10
14.უდინეზე	9	3	1	5	5-13	10
15.სასუოლო	8	3	0	5	15-16	9
16.ლჩე	9	2	2	5	10-18	8
17.ჯენოა	9	2	2	5	12-21	8
18.პრეშა	9	2	1	6	9-14	7
19.სპალი	9	2	1	6	7-16	7
20.სამპდორია	9	1	1	7	5-18	4

#### იტალია. სეჩია ბ

ვენეცია-პორდენონე	1:2
ვირტუსი-კოზენცა	1:0
კიევი-კროტონე	2:1
პერუჯა-ასკოლი	1:1
პიზა-სალერნიტანა	2:1
ჩიტადელა-ლივორნო	1:0
ემპოლი-სპეცია	1:1
იუვე სტაბია-პესკარა	2:1

#### საფრანგეთი. თასი

ნიმი-ლანსი	3:0
ბორდო-დიჟონი	2:0
ბუენა-ა დივიზიონი	1:2
კორტრაიკი-ეუპენი	1:2
ოსტენდე-შარლერუა	0:1
სერკლი-მუსკრონი	2:2

#### საბრძანებელი მსხვილი უორაულისა

## სამგლოვიარო განცხადებები

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი ოჯახისა და მშობლების უახლოესი მეგობრისა და კოლეგის, კეთილშობილი პიროვნების, თვალსაჩინო მეცნიერისა და კლინიცისტის, აკადემიკოს

### პალიკო იასონის ქე ქინტრაიას

გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახს, კოლეგებსა და უამრავ მადლიერ ადამიანს. მარია, გიგლა, ვა და გვანცა ჩიქოვანები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარეშე. 12-დან 17 საათამდე.

## მანჩესტერს ფეხბურთელები და მწვრთნელი გერმანიიდან სურს

ბრიტანულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მანჩესტერ იუნაიტედი გუნდის შენების პროცესს აგრძელებს. „ნიოთელი ეშმაკები“ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას 2 ფეხბურთელის დაბრუნებას ცდილობენ. კლუბის მმართველი ედ ვუდვარდი მზადაა, გუნდის გაძლიერებისთვის 125 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯოს. ვუდვარდის სამიზნე კაი ჰავერცი და ტომას მიულერი არიან.

იუნაიტედის საუკეთესო სკაუტები გერმანიაში იმყოფებოდნენ. ისინი 2 შეხვედრას დაესწრნენ, მათ იხილეს ლევერკუზენის ბაიერისა და ბრემენის ვერდერის დაპირისპირება, რომელშიც კაი ჰავერცი მიიღო მონაწილეობა. ინგლისური გრანდის სკაუტებმა ასევე ნახეს მიუნხენის ბაიერნისა და ბერლინის უნიონის მატჩი ტომას მიულერის მონაწილეობით.

იუნაიტედს ტომას მიულერის

შეძენა 2014 წელსაც სურდა, როცა სერ ალექს ფერგიუსონის ერა დასრულდა და ევერტონიდან ნამოსული დევიდ მოიესი „ოლდ ტრაფორდზე“ ახალი გუნდის შენებას იწყებდა.

მიულერი ნიკო კოვანის ფავორიტი ფეხბურთელი ნამდვილად არაა, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს, მიმდინარე სეზონის ბუნდესლიგაში 30 წლის ფეხბურთელმა 9 მატჩი ჩაატარა, თუმცა სასტარტოში მხოლოდ ოთხჯერ მოხვდა.

რაც შეეხება ჰავერცის: „ფარმაცევტები“ 20 წლის ტალანტის სანაცვლოდ 85 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვენ. ასე აფასებენ გერმანული კლუბის ხელმძღვანელები ევროპის ერთ-ერთ გამორჩეულ ტა-



დატოვოს. თუ ასე მოხდა, იუნაიტედს სიაში რაგნიკი ერთ-ერთია მის შესაცვლელად.

ამჟამად რაღაც რედ ბულში სპორტისა და განვითარების ხელმძღვანელად მუშაობს. თუმცა, იქ გადასვლამდე ლაიფციგის მწვრთნელი იყო და გუნდი გერმანიის ბუნდესლიგაში მე-3 ადგილზე გაიყვანა.

ლანტს, რომელზეც გერმანიაში დიდ იმედებს ამყარებენ.

იუნაიტედს ასევე უკავშირებენ რაღაც რანგნიკს. იმის მიუხედავად, რომ მანჩესტერელთა თავიანთი ოლე გუნარ სოლსკიაერმა ბოსნიისგან მხარდაჭერის მისივე მიიღო, მაინც არსებობს დიდი შანსი, რომ თანამდებობა

## ამერიკის ინდიანას შტატში მორადი ტანსაცმლის მალაზიის თანამშრომელმა ქურთუკის ჯიბეში შვიდი ათასი დოლარი იპოვა და მისი პატრონის პოვნა მოახერხა



ამერიკის ინდიანას შტატში მორადი ტანსაცმლის მალაზიის თანამშრომელმა ქურთუკის ჯიბეში შვიდი ათასი დოლარი იპოვა და მისი პატრონის პოვნა მოახერხა.

ჯენიფერ კაიმისის თქმით, ის არც ისე დიდი ხნის წინ მალაზიაში ჩაბარებული ქურთუკს ათვალავებდა და შენიშნა, რომ ჯიბეში რაღაც იყო. მან ჯიბეში ხელი ჩაყო და იქიდან ფულის შეკვრა ამოიღო. თავდაპირველად ქალს შეეშინდა და ფული უკან

ვე დააბრუნა. შემდეგ ისევ ამოიღო და მალაზიის მფლობელს დაუკავშირდა.

კაიმსმა აღნიშნა, რომ მალაზიაში ჩაბარებული ტანსაცმლის ჯიბეებში ხშირად პოულობენ საღებ რეზინებს, ფოტოსურათებს, სხვადასხვა შენაძენების სივებს, მაგრამ ასეთი მსხვილი თანხა მან პირველად აღმოაჩინა.

კაიმსს უფროსი ტემტ ვენდლენდი დახმარა ქურთუკის ყოფილი მფლობელის დადგენაში და მას დაუკავშირდა, რათა ფული დაებრუნებინა. აღმოჩნდა, რომ ქურთუკის პატრონს დაავიწყდა, თუ სად შეინახა ფული. ის უზომოდ ბედნიერი იყო დაკარგული ფულის დაბრუნებით.

თავის მხრივ კი კაიმსმაც განაცხადა, რომ ბედნიერია იმის გამო, რომ კეთილი საქმე გააკეთა.

## ამაჰამა რისპორანო სალილონის დროს ქარკში პარალიზი იპოვა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მცხოვრებმა რესტორანში შეკვეთილ მოლუსკების კერძში მარგალიტი იპოვა.

მეუღლესთან ერთად სალილონის დროს ანტონ შერმერმა პირში რაღაც მყარი საგანი იგრძნო. მან ის გადმოაფურთხა და მიხვდა, რომ ის პატარა მარგალიტი იყო, რომელიც ერთ-ერთ მოლუსკში იყო.

რესტორნებისთვის მოლუსკების მიწოდებელი კომპანიის წარმომადგენელი კევი ჯოზეფი თვლის, რომ ეს უნიკალური შემთხვევაა.

მთელი ჩემი კარიერის მანძილზე ასეულობით ათასმა მოლუსკმა გაიარა ჩემ ხელში, მაგრამ ერთი მარგალიტიც კი არ შემხვედრია, - ამტკიცებს ის, - ვიცი, რომ ზოგჯერ მათ მოულოდბენ მექსიკის ყურის თბილწყლის მოლუსკებში, თუმცა საკმაოდ იშვიათად. ხოლო ცივი წყლის ბინადარ მოლუსკებში მარგალიტის პოვნის თაობაზე არაფერი მსმენია. ასეთი რამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ხდებოდა.

შერმერმა ნაპოვნი მარგალიტი რესტორანს აჩუქა, რომლის მფლობელიც აპირებს, ის ჩარჩოში ჩასვას და დარბაზში გამოფინოს.

## მონალიკას ნიანგი პირი ეპონა და საავადმყოფოში აღმოჩნდა

ავსტრალიის ჩრდილოეთი ტერიტორიის სანაპიროს მახლობლად მდებარე კუნძულ კროკერზე ნიანგი მონადირეს თავს დაესხა.

42 წლის ელსტონ ლამი ლამამ, რომელც მუხლებამდე წყალში მიდიოდა, მტაცებელი რეპტილია ხის მორად მიიჩნია.

მე მას ზურგზე შევადექი და იქ ასე 15 წამი ვიდექი, - ამ დროს ბიძაშვილმა მითხრა, რომ მე ნიანგზე ვიდექი, თვალის დახამამებაში ის შეტრიალდა და ძირს დამაგდო.

მტაცებელმა მამაკაცს ყბები ფეხში ჩააგდო და წყლის სიღრმისკენ წაიწვერა დაუნყოფი. მონადირემ რეპტილას სამჯერ ჩასტეო თვალებს შორის და მისი ყბებისგან თავი დააღწია, თუმცა ნიანგმა მას ისევ შეუტია. ამჯერად მტაცებელმა მას პირი მუცლის ქვედა ნაწილში სტაცა.

მე მისი ყბა მარჯვენა ხელით მეკავა, ხოლო მარცხენა ხელს ვურტყამდი, - იხსენებს ლამი ლამი, - ოთხჯერ ჩაყარტყი.

ახალმა წარუმატებლობამ ნიან-



გი მაინც ვერ შეაჩერა.

დავინახე, ის წყლიდან ამოვიდა და გამოშვია, - ამტკიცებს მონადირე, - გავიქეცი, მარცხენა ფეხიდან სისხლი მოთქრიანელებმა, მაგრამ საკუთარი სიცოცხლის გადადარჩენას ცდილობდი.

მისი შეფასებით, ნიანგის სიგრძე 4,5-დან 5 მეტრამდე იქნებოდა. დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში აღმოუჩინეს, შემდეგ კი შვედმფრენით ქალაქ დარვინის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ხმობი ბ


შეველად: 1. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო სააქციო გაერთიანება; 2. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა სიმღერითურთ, სრულდება ახალ წელს; 3. ხელოვნური მარმარილო; 4. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 5. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. ძველებური ასტროლოგიური ნიგანი; 12. გერმანელი ელექტროტექნიკური კომპანია; 15. სახელმწიფო ევროპაში; 16. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 17. იაპონური თოჯინების თეატრი; 20. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში.

თარაზულად: 6. მადნეულის გამდიდრების შედეგად მიღებული პროდუქტი; 7. ქართული ავიაკომპანია; 8. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 9. ნინასნარი განცხადება მომავალი სპექტაკლის, კონცერტის შესახებ; 13. სკანდინავიური ლეგენდა, თქმულება; 14. გია დანელიას კინოკომედია; 18. დედამიწაზე მიმდინარე სითბური პროცესების შემსწავლელი დისციპლინა; 19. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 21. ოპერა „ფალსტატი“-ს კომპოზიტორი; 22. შხამიანი გველი; 23. სერბი კინორეჟისორი; 24. ანტიკური ორთვიანი, ოთხცხენიანი ეტლი.

## ინა ნოვაროვი გამოკვლევებული კროსპორტის პასუხები:

პროსპორტი ა  
შეველად: 1. ქვემეხი; 2. სატრაპი; 3. ონიქსი; 4. სამბო; 5. ბოლერონი; 7. შოუ; 11. როიალი; 15. პაროლია; 16. აქსისი; 17. სეიკო; 18. ოპელი; 20. კანო; 22. პინო.  
თარაზულად: 6. ვაშაში; 8. ფაეტონი; 9. ვიპელი; 10. მერკური; 12. გესლი; 13. ოფური; 14. მისისიპი; 19. ბარტოკი; 21. გელაპი; 23. პენსი; 24. აკვანი; 25. დიზანი; 26. ბიჭვინთა.

პროსპორტი ბ  
შეველად: 1. ავტობუსი; 2. მონარქი; 3. ლვინო; 4. ლოკპი; 5. კაქტუსი; 10. ბერგმანი; 11. სოციოლოგია; 12. პლანერი; 15. მარგალიტი; 16. ბრიუგი; 17. მერკური; 20. დაფე.  
თარაზულად: 6. ლვინობისთვე; 7. გორგამე; 8. პროლოგი; 9. მუთაქა; 13. ბიზე; 14. ნოხელი; 18. ინტენტი; 19. შერპი; 21. ვარდი; 22. ბელგია; 23. სინდიატი; 24. კლიასერი.



აშშ დოლარი — 2.9632	ევრო — 3.2963
ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 3.8184	100 რუსული რუბლი — 4.6160




### 16 თვემობრიდან

გიორგი კოკოშვილი  
**ქართული საბრძოლო ხელოვნება ჩვენი ღირსებანი**  
ფასი გაუთითან ერთად 18 ლარი

### 5 წლებიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის  
**გაზაღვთისა ტვის ძირას**  
წიგნი III  
ფასი გაუთითან ერთად 12 ლარი



### მუხრან მაჭავარიანის 90 წლის იუბილე არგვითუი აღინიშნება



ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანის 90 წლის იუბილე მის მშობლიურ არგვითუი აღინიშნება. იუბილარი შემოქმედის სახლ-მუზეუმში მიწვეული სტუმრების დასახვედრად განსაკუთრებულად ემზადებიან. მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები,

მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მუხრან მაჭავარიანი რუსთაველის თეატრში პოეტ ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოსვლისას გარდაიცვალა. იგი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

### „და ჩვენ ვიხიქვით“ ჩიკაგოს კინოფესტივალის გამარჯვებული



ლევან აკინის ფილმი „და ჩვენ ვიხიქვით“ ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. ფილმი ორი მოცეკვავე ბიჭის ისტორიას მოგვითხრობს. ლევან აკინის ფილმი ოსკარზე წარდგენილი. მასში მონაწილე ერთ-ერთი მსახიობი ლევან გელბახიანი არაერთი ჯილდოს მფლობელია. იგი სარაევოსა და ვალიადოლიდის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მამაკაც მსახიობად დაასახელეს, ლევანი მსოფლიოს ცნობილ კინოვარსკვლავებთან ერთად კანის რჩეული ვარსკვლავების ჩამონათვალშიც მოხვდა.

შეამზადა კაბა ნატიაშვილმა

### ასტრონომიონი 31 ოქტომბრისათვის



**პარკი** – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქარა** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდება. მშვიდი დღეა. **გაზაგაბი** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **ქირაჩიხი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ჩიტი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **პალნალი** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარე გავსება, მივლინებები იბღლიანი იქნება. **სანწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადანყვებილების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **რაინაქალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბება. **მედიკოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებთ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მარნალი** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თაუზანი** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მიიმეწუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ. **გისუხვებთ ბენიხი დღეს!**

## იუმოხი

მოსამართლე ქალს ეკითხება:

- რატომ გსურთ მეუღლესთან განქორწინება?
- განსხვავებული რელიგიური შეხედულებები გვაქვს.
- კონკრეტულად?
- ის მე ქალღმერთად არ მაღიარებს!

მამაკაცი გზაჯვარედინთან ბავშვებს კანფეტებს ურიგებს. ერთ-ერთი ბავშვის მშობელი ეკითხება:

- კანფეტების ფაბრიკის სარეკლამო კომპანიაა?
- არა, ჩემი სტომატოლოგიური ბიზნესის გაფართოება...

ქალი კაცს ეკითხება:

- იცი, მე რა მინდა?
- ვიცი, ყველაფერი!
- ეს პირველი...

ორი ბიზნესმენი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

- მინდა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზო. როდესაც ფლორიდაში ვისვენებდი, შევიარე ერთ პატარა ქალაქში, სადაც მოხეტიალე ცირკი ზამთარს ატარებს და მათგან სპილი ვიყიდე. ახლა კი მინდა სამი ათას დოლარად შემოგთავაზო.
- და რა უნდა ვუყო მაგ სპილოს, მრავალსართულიან სახლში ვცხოვრობ, ბინა ავეჯს ძლივს იტევს. სასადილო მაგიდაც კი ძლივს დავდგი და სპილი სად მოვათავსო?
- და სამი სპილი ორის ფასად?
- აი, ეგ უკვე სხვა საქმეა!

ქმარი კვდება და სიკვდილის წინ ცოლს ეუბნება:

- ჩემს უკანასკნელ თხოვნას შემისრულებ?
- რა თქმა უნდა, ძვირფასო.
- მინდა, რომ ჩემი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე მითოს გააყვე ცოლად.
- მე კი მეგონა, რომ მას დასასახად ვერ იტანდი.
- და მერე როგორ...

ტელეფონის ზარი:

- ალო, უშიშროებიდან გირეკავთ.
- ვიცი.
- საიდან?
- გამორთულ ტელეფონზე მირეკავთ.

ბიჭი გოგოს ეუბნება:

- ჩემთან რატომ არ რჩები?
- ჯერ უნდა დამიპყრო...
- და მშვიდობიანი გზით არა?

შეამზადა კანა ნატიაშვილმა



## სოლსკიარე: „პოგბას გარეშე შეზვიძლია თამაში“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიარემ პოგბას ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ გუნდს მის გარეშე შეუძლია კარგად თამაში და შედეგის მიღწევა. ამასთან ერთად, სოლსკიარემ პოგბას მალე გამოჯანმრთელება უსურვა:

- იმედი მაქვს, პოგბა მოედანზე უფრო ძლიერი დაბრუნდება და ეს მალე მოხდება. ვფიქრობ, მის გარეშე შეგვიძლია კარგად თამაში და მე უკვე გამოვძებნე ფეხბურთელი, რომელიც პოგბას შეცვლის. ეს ფრედი იქნება.

შემდეგ შეხვედრას მანჩესტერ იუნაიტედი საკუთარ მოედანზე ჩელსისთან გამართავს.

## ჯეიმს მილნერმა ლივერპულთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

ლივერპულის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯეიმს მილნერმა გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის ლივერპულში 2023 წლის ჩათვლით ითამაშებს. მილნერი ბოლო წლებში ლივერპულისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ამის შესახებ იურგენ კლოპმაც ისაუბრა:

- ჯეიმსი ნამდვილი პროფესიონალია და მიხარია, რომ მან ლივერპულში დარჩენა ამჯობინა. ის ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება მომავალში და მისი დიდი იმედი მაქვს.

ჯეიმს მილნერი ლივერპულში 2015 წელს გადავიდა, მანამდე კი ის მანჩესტერ სიტის ლირსებას იცავდა.



## მოურინიო გზად არის, არსენალი ჩიიბაროს

პორტუგალიელი სპეციალისტი ჟოზე მოურინიო მზად არის ლონდონის არსენალი ჩიიბაროს იმ შემთხვევაში, თუ უნაი ემერის გაათავისუფლებენ. ჯერჯერობით ემერის განთავისუფლებაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ არსენალის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით ბოლომდე კმაყოფილი არ არის. მოურინიო დაინტერესებულია არსენალში მუშაობით და ის ელოდება თავის შანსს. ასევე არის საუბრები იმაზეც, რომ ჟოზე შესაძლოა რეალში დაბრუნდეს.

## ჟოელ მატეომა ტრავმა მიიღო

ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ჟოელ მატეომ ტრავმა მიიღო და მას მინიმუმ ერთი თვე მოუწევს უქმობა. მატეომ ძველი ტრავმა გაიმეორა, რომელიც მას ადრეც აწუხებდა. მატეომ შესაძლოა ოპერაციაც გაიკეთოს და ის მოედანს დეკემბრის შუა რიცხვებში დაუბრუნდება. მატეოს ადგილს ლივერპულის დაცვაში ჯო გომესი დაიკავებს, რომელსაც შარშან ჰქონდა ტრავმა, წელს კი ის სტაბილურად ითამაშებს.



## კლაუდიო მარკიზიო გაქარხვეს

ტურინის იუვენტუსის ყოფილი ფეხბურთელი კლაუდიო მარკიზიო ტურინის გარეუბანში საკუთარ სახლში გაქარხვეს. ბოროტმოქმედები მარკიზიოს და მის ცოლს პისტოლტყვით დაემუქრნენ, რის შემდეგაც კლაუდიო იძულებული გახდა, მათთვის ფული და ძვირფასი ნივთები მიეცა. მარკიზიომ უკვე გააკეთა პოლიციაში განცხადება და საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. მარკიზიომ კარიერა რამდენიმე თვის წინ, საკმაოდ ადრეულ ასაკში დაასრულა. ის მხოლოდ 33 წლის არის.

შეამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კაილი ჯენერი პლემბოის სტილში გამოიხეცა

მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერმა, საკუთარი სახელობის კოსმეტიკური ბრენდის დამაარსებელმა კაილი ჯენერმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომელზეც ის გამოსახულია მეგობარ ანასტასია კარანიკოლასთან ერთად და ორივე მათგანი გამოწყობილია კოსტიუმში სახელწოდებით „პლემბოის კურდღელი“.

- სტასმა მითხრა, რომ პლემბოის საღამო მაქვს, – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში ჯენერმა.
- მიყვარხარ ჩემი ტყუპისცალი ცხოვრებაში, – დაწერა საპასუხოდ საკუთარ კომენტარში ანასტასია კარანიკოლას.

გოგონებს აცვიათ შავი ბოდი-ბანდო ფუმფულა თეთრი კუდიო, კოლოტები, კურდღლის ყურები, თეთრი საყვლო შავი ფერის პეპელა პალსტუხით და თეთრი სახელოები.



შეამზადა კანა ნატიაშვილმა

## ახსოვოხი ა

შეგულად: 1. ქართული მითოლოგიის გმირი; 2. ძალიან ლამაზი ბალი; 3. ტყვიანთუთის საბადო სამაჩაბლოში; 4. ლიტერატურის ერთ-ერთი ფანრი; 5. ფუტურის სკის შავი ფიჭა; 7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 11. მინისქვეშა საკანალიზაციო არხი დიდ ქალაქებში; 15. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 16. ფრანგი კინორეჟისორი; 17. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 18. ესპანეთის ფეხბურთელი გუნდი; 20. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 22. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი.

**თარაზულად:** 6. ალორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქი; 9. ფაფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 10. მუსიკალური ფრანკის გამეორება, სხვა ხმითა და სხვა ტონალობით; 12. ალალბედზე მოქმედება; 13. ვინმეზე განუვლი მზრუნველობა; 14. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 19. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 21. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 23. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 24. რომელიმე მოძღვრების მომხრე, დამცველი; 25. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 26. კავებარი საცეკვაო მოედანი.

1	2	3	4	5
6	7	8		
			9	
10		11		
			12	
				13
			14	
				15
			16	
	17		18	
				19
				20
21		22	23	
24				25
			26	

შეამზადა თ.კობაძეშვილმა